საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტში საჯარო ინფორმაციის გაცემის მდგომარეობისშესახებ 2023 წლის ანგარიში

8 დეკემბერი, 2023 წელი

წარმდგენი: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი).

მიმღები: საქართველოს პრემიერ-მინისტრი/საქართველოს პრეზიდენტი/საქართველოს პარლამენტი

დეპარტამენტში, 2023 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 8 დეკემბრის ჩათვლით, საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით სულ შემოვიდა 118 განცხადება. აღნიშნული მოთხოვნებიდან დეპარტამენტის მიერ სრულად დაკმაყოფილდა 115 განცხადება, ხოლო 3 განცხადებაზე მიმდინარეობს ინფორმაციის მოძიება/დამუშავება.

რაც შეეხება საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნათა რაოდენობას, 2023 წლის განმავლობაში მსგავსი მოთხოვნის არცერთი შემთხვევა არ არის დაფიქსირებული.

დეპარტამენტი სარგებლობს ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზებული სისტემით (eHRMS), რომელიც მოიცავს თანამშრომელთა პერსონალურ მონაცემებს და მასზე წვდომა გააჩნია დეპარტამენტის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს, მისი კომპეტენციის ფარგლებში. ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზებულ ელექტრონულ სისტემაში არსებული პერსონალური მონაცემების უსაფრთხოება უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფორმაციულ-ტექნოლოგიური საშუალებებით, რაც, თავის მხრივ, გამორიცხავს არაუფლებამოსილი პირებისათვის პერსონალურ მონაცემებზე წვდომას.

დეპარტამენტში ფუნქციონირებს საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა, სადაც თავს იყრის ყველა სახის კორესპონდენცია, მათ შორის საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოსული განცხადებები და შესაბამისი პასუხები. დეპარტამენტს არ გააჩნია ცალკე საჯარო მონაცემთა ბაზა, თუმცა, დეპარტამენტის განახლებულ ვებგვერდზე, ყოველკვარტალურად ქვეყნდება საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოსული ყველა განცხადების მოკლე ანოტაცია ცალკე დოკუმენტის სახით.

დეპარტამენტის თანამშრომლების მხრიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ერთხელ გამოვლინდა „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მოთხოვნათა დარღვევისა და ამ საფუძვლით პასუხისმგებელ პირზე დისციპლინური სახდელების დადების ფაქტები.

დეპარტამენტში, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე უარის თქმის საფუძველზე მიღებულ გადაწყვეტილებაზე ადმინისტრაციული საჩივარი არ შემოსულა.

ამასთან, არ დაფიქსირებულა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებულიასლის გადაღებისათვის მოსაკრებლის გადახდის ფაქტი.

საჯარო ინფორმაციის გაცემისას დეპარტამენტი ხელმძღვანელობდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითა და „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ" საქართველოს კანონით.

საანგარიშო პერიოდში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და

ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს დეპარტამენტის იურიდიული სამსახურის უფროსის მოადგილე (პირველადი სტრუქტურილი ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე) ფიქრია კვერნაძე, ხოლო მისი არ ყოფნის შემთხვევაში იურიდიული სამსახურის უფროსი (პირველადი სტრუქტურილი ერთეულის ხელმძღვანელი) ლიკა ჩქოფოია, ხოლო მათი ერთდროულად არ ყოფნის პერიოდში დეპარტამენტის იურიდიული სამსახურის უფროსის ფუნქციების დროებითი შემსრულებელი (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის ფუნქციების დროებით შემსრულებელი).

პატივისცემით,

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი
ფიქრია კვერნაძე

Roads Department of Georgia

Digitally signed by Roads Department of Georgia
Date: 2023.12.08 16:39:44 +04'00'